ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 24

"15" თებერვალი 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუს №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 თებერვლის №22.133.145 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გრიგოლ ფერაძის ქუჩა №5-ში, კორპუსი №1-ში (საკადასტრო კოდი: №01.72.14.013.429) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

დანართი N1

ქალაქი თბილისი, გრიგოლ ფერაძის ქუჩა N5, კორპუსი N1 (საკადასტრო კოდი: 01.72.14.013.429)					
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული, დაკავებული ბინის ნომერი	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	მარიამ დენოსაშვილი	01024052792	სართული 3, ბინა N315	30.72	01.72.14.013.429.01.315
2	მერაბ ქვარცხავა	29001007630	სართული 2, ბინა N23	19.6	01.72.14.013.429.01.023
3	ნიკოლოზი მელანაშვილი	59004001107	სართული 3, ბინა N308	45.9	01.72.14.013.429.01.308
4	დავითი აბულაძე	08001020894	ბინა N417	35.75	01.72.14.013.429.01.417
5	ბორისი ბარაბაძე	55001026522	სართული 4	24.07	01.72.14.013.429.01.550
6	პაატა სტურუა	37001018895	სართული 4	18.13	01.72.14.013.429.01.549